ცესკოს თავმჯდომარეობისა და ცესკოს წევრობის კანდიდატების შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კანდიდატის 2 ფოტოსურათი.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი.

6. კანდიდატის ბიოგრაფია და CV.

7. ცნობა ნასამართლობის შესახებ.

8. არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების (თუ კანდიდატს აქვს ასეთი გამოცდილება) აღწერა.

9. ხელწერილი, რომლითაც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატი ადასტურებს მისი კანდიდატურის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას (დანართი No1, დანართი No2).

10. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/ წევრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა (დანართი No3, დანართი No4).

11. ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – ანტიკორუფციული ბიუროდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ მოთხოვნას: ცესკოს წევრობის კანდიდატი/საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს წევრად დანიშნული პირი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა რომელიმე პარტიის შემომწირველი.

12. ცნობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“:

ა) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას;[1]

ბ) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;[2]

გ) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;[3]

დ) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.[4]

13. ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საჯარო სამსახურის ბიუროდან იმის შესახებ, რომ პირი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;[5]

ბ) „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.[6]

14. ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან იმის შესახებ, რომ პირი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.[7]

---

[1] ცესკოს წევრობის კანდიდატი/საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს წევრად დანიშნული პირი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.

[2] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, – თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 4 წლის განმავლობაში.

[3] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, მისი წარმომადგენელი.

[4] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს დამკვირვებელი.

[5] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული.

[6] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება.

[7] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.

15. ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან იმის შესახებ, რომ პირი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.[8]

16. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.[9]

---

[8] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

[9] საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლომ ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში.